სამშობლო

სამშაბათი
1 დეკემბერი
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 236 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 236

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

ორშაბათიდან, 30 ნოემბრიდან, ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა

მხოლოდ მოზრდილთათვის

ეკატერინა ივანეს ასული.

კინო—პიესა 6 ნაწილათ, ლეონიდ ანდრეევისა

უმთავრეს როლებში მონაწილეობენ მოსკოველი გამოჩენილი არტისტები: ნ. გერმანოვისა, მ. ა. დუროლსოვისა, ნ. ნ. ბერსენევი, ს. ნ. ვორონოვი, ნ. ო. მასალიტანოვი, ნ. რ. ნიკოლსკი და სხვები.

პატე-ჟურნალი № 326

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ ჩემი საგალანტერეინო საქონლის ვაჭრობა (მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოგანეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან

გადავიტანე იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში, რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ. ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომმართავს ჩემს ახალ სავაჭროში.

14—4—6042 პატივისცემით **ილ. ტარ. მოწონელიძე.**

მოქალაქენო!

ოთხშაბათიდან, 25 ნოემბრიდან, დაიწყო მოქმედება

კოოპერატიული ფურნე.

სიძვირისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო საშუალებაა—თვით მომხმარებელთა ორგანიზაცია. ჩაეწერეთ წევრებათ საზოგადოებაში, გახდით მისი მუდმივი მომხმარებელი და მით უზრუნველყავით თქვენთვის ფრიად სასარგებლო დაწესებულების არსებობა. არ დაივიწყოთ რომ ძალა ერთობაშია, გახსოვდეთ რომ სადი პური უსაჭიროესი მოთხოვნილებაა ადამიანისთვის.

პური გაიყიდება: ა) **მწვანე ბაზარში**—საზოგადოების კიოსკში, და, ბ) თვით ფურნეში—გენერალის ქუჩა, ექიმ შენგელიას სახლში. იქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა.

ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით საგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ, საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი
მ. მგელაძე—ბალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. [illegible] სახლი. თვ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი რ. პ. ხვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე. თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ მარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძისსახლი. თ

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში

1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. ქვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში

გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.

სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 27 ნოემბერი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის ასპარეზი. ცვლილება არ მომხდარა. შუმსკის მახლობლად, კრემენცის აღმოსავლეთით, ჩვენს პოზიციაზე ჩამოეშვა ავსტრიელების აეროპლანი.

კავკასიის ასპარეზი.

ოსმალეთის ტერიტორიაზე ცვლილება არ მომხდარა. სპარსეთში თეირანსა და ქამადანის შუა გზაზე ჩვენმა ჯარმა დაამარცხა გერმანელების და ავსტრიელების რაზმი, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ათას აჯანყებულ ჟანდარმებისაგან და შეიარაღებულ ბრბოსაგან, არტილერიით და ტყვიისმტყორცნელებით. მოპირდაპირეს მთელი რიგი პოზიციებისა დავატოვებინეთ, დიდი ზარალი მივაყენეთ და იგი გაიქცა.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 26 ნოემბერი. დღიური ცნობა. შამპანში ღამით არტილერია განაგრძობდა გერმანელების პოზიციების წინააღმდეგ სროლას და სენ-სუპლეს სამხრეთით ააფეთქა ყუმბარების საწყობი. სუენის მდინარის აღმოსავლეთით კონტრიერიშებით ფრანგთა ჯარი უტევს გერმანელებისას, რომელიც ეხლა მხოლოდ ერთს წინ წამოწეულ თხრილის ნაწილს იცავს. ჩვენი არტილერია ხელს უშლის აქ მტრის გიმაგრებას. არგონში, ოტშევოჩეს რაიონში მარჯვედ ავაფეთქეთ ორი ნაღმი.

პარიზი. 26 ნოემბერი. საღამოს ცნობა. სხვადასხვა ადგილებში დრო გამოშვებით არტილერიის სროლაა. რუას რაიონში ფრანგების არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ბეტანკურის მახლობლათ აღმოჩენილ გერმანელების ბატარეიას. ეპარჟში ნაღმებით ბრძოლა კვლავ სწარმოებს. ერთი ნაღმის აფეთქებით რამდენიმე გერმანელების მუშა მიწის ქვეშ მოჰყვა.

ლონდონი. 37 ნოემბერი. ბრიტანიის მთავარი შტაბი იუწყება, რომ 22 ნოემბერს საზვერად წასული ორი აეროპლანი არ დაბრუნებულა. სხვადასხვა ალაგას არტილერია ანგრევს გერმანელების თხრილებს და ექლიან ღობეებს. სამაგიეროთ გერმანელებმა ყუმბარები დაუშინეს იპრს და არკას და აგრეთვე მათ ჩრდილოეთით მდებარე ადგილს. ზარალი მცირეა.

გავრი. 26 ნოემბერი. ბელგიელების ცნობა. იზერის ნაპირით არტილერიის მცირე შეჯიბრება იყო. გერმანელების ბატარეია დიქსმუნდეს ჩრდილოეთით ჩა- ჩავარუმეთ და ვოუმენის მიმართულებით ნება არ მივეცით გამაგრებულიყო თხრილებში.

პარიზი. 26 ნოემბერი. კოსტანმა შეკითხვა შეიტანა გენერალისიმუსის მთავრობის მიერ დანიშვნის შესახებ. ბრიანმა განაცხადა, რომ ამ ჟამად ამ საკითხის შესახებ ბჭობა შეუძლებელია, ამიტომ პასუხს არ გასცემს და აყენებს საკითხს. პარლამენტმა 443 ხმის წინააღმდეგ 98-სა საკითხის გარჩევა გადასდო.

ცეტინიე. 25 ნოემბერი. ოფიციალური ცნობა 24 ნოემბრიდან. მოპირდაპირემ ენერგიული იერიში მოიტანა სანჯაყის არმიის წინააღმდეგ, მაგრამ მოგერებულ იქნა. სერბიის არმიის ბრძოლის პირით რამდენიმე დღის ბრძოლის შემდეგ ავსტრიელებმა იპეკი დაიპყრეს.

სოლუნი (სალონიკი). 26 ნოემბერი. ინგლის-ფრანგთა ჯარის ბრძოლის პირით მოქმედება განცხოველდა. როგორცა სჩანს ბულგარლებმა ხელი აიღეს სერბების ჯარის დევნაზე და გადაწყვიტეს მთელი ძალით ახალ სერბიის აღმოსავლეთის ნაწილში იმოქმედონ.

გევგელიდან და მის მიდამოებიდან მოვიდნენ მრავალი გამოქცეულნი, მასწავლებლების ოჯახობანი და სახალხო სკოლების ინსპექტორი.

პარიზი. 26 ნოემბერი. მოქმედება დარდანელში. 22 ნოემბერი. 22 ნოემბერს მოპირდაპირე იერიშს ხელი შეუშალეთ არტილერიის სროლით. ბალკანეთში ბულგარლების ჯარმა რამდენიმე ენერგიული იერიში მოიტანა ინგლის-ფრანგების ჯარის წინააღმდეგ, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალი მივაყენეთ. ბრძოლა კვლავ სწარმოებს გრაადეცის ხიდის სანგრების წინააღმდეგ ვარდარზე.

ლონდონი. 26 ნოემბერი. სამხედრო სამინისტრო იუწყება: მკაცრი სროლის შემდეგ 23 ნოემბერს ბულგარლებმა იერიში მოიტანეს დოირანის ტბის დასავლეთით: მცირე რაზმები შემოიჭრენ ჩვენს თხრილებში, მაგრამ უმალ გავდევნეთ. 24 ნოემბერს დილით ბულგარლები კვლავ დაგვეცნენ, მათი ჯარი ბევრით სჭარბობდა ჩვენსას და ამიტომ დავტოვეთ ჩვენი პოზიცია. ღამით ჩვენი ჯარი ახალ პოზიციაზე გადავიდა. ზარალის შესახებ ჯერ ცნობა არ მოსულა.

ნოემბერს ინგლისის ჯარმა მარჯვედ მოიგერია ბულგარლების იერიშები და საღამოთი ახალ პოზიციაზე გადავიდა, რათა საერთო ბრძოლის პირი შეესწორებინა.

პარიზი. 26 ნოემბერი. ინგლის-ფრანგების ჯარი გადადის ახალ პოზიციაზე, რომელიც ბაზასთან უფრო ახლოს არის. ბულგარლების მთავარი შტაბი იშტიბში იმყოფება.

თეირანი. 26 ნოემბერი. რუსის ჯარმა სულთანბულაღის გადასავალი დაიპყრო, რომელსაც ჟანდარმები და მეამბოხე-

ნი ორი კვირის განმავლობაში ამაგრებდენ გერმანელ და ოსმალელ ოფიცერთა ხელმძღვანელობით. ქამადამისაკენ გზა გახსნილია. მოპირდაპირეს ჯარი მირზის და რუსის ჯარი მას მისდევს.

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

დარდანელთან.

„კიოლნიშე ცეიტუნგს“ კონსტანტინოპოლიდან ატყობინებენ, რომ მოკავშირეებმა დაიწყეს ახალი იერიშები დარდანელზე. ოსმალები და გერმანელები ფიქრობენ, რომ ამ შეტევებს მხოლოდ დემონსტრატიული ხასიათი აქვსო.

ზღვაზე.

გერმანეთის წყალქვეშა ნავმა იტალიის წყლებში გააჩერა საბერძნეთის გემი „სპეტსაი“ და იძულებული გახადა გემის კაპიტანი მიეცა ინგლისელი მგზავრები, რომელნიც სალონიკიდან მესინს მიემგზავრებოდენ.

— —

ათინიდან ცნობაა,—იტალიამ ერთ-ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოს პირით განუცხადა გერმანეთს, რომ იგი ომს გამოუცხადებს გერმანიას, თუ ეს უკანასკნელი სერბიის ჯარის უკან დევნას განაგრძობს ალბანეთის ტერიტორიაზეო.

— —

„ბირჟ. ვედ.“ ატყობინებენ, რომ ვილნოში მძვინვარობს ეპიდემია, რომელიც თანდათან ძლიერდება გერმანელების ჯარშიო. ჯარი ქალაქიდან გაიყვანეს.

— —

„რუსკ. სლ.“ კოპენჰაგენიდან დეპეშით ატყობინებენ: სოციალისტების შეკითხვაზე ზავის შესახებ რეიხსტაგში, ბეტმან გოლვეგმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ ომი დასრულდება ზავით მაშინ, თუ გერმანია უზრუნველყოფილი იქნება, რომ იგი აღარ გამეორდებაო.

სოციალისტმა ლედებურგმა არა ერთჯერ გააწყვეტია სიტყვა ორატორს და მიუთითა გერმანიის დამპყრობით პოლიტიკაზე.

— —

„ვეჩ. ვრემიას“ დვინსკიდან ატყობინებენ, რომ გერმანელები საზამთრო კომპანიისათვის ემზადებიანო. თხრილების ახლოს იგინი აკეთებენ თბილ მიწურებს. ზურგს უკან სასწრაფო მუშაობა სწარმოებს. როგორც სჩანს, გერმანელებს გადაწყვეტილი აქვთ ზამთარი დვინსკთან გაატარონ.

— —

„ბირჟ. ვედ.“ იუწყება, რომ გერმანეთის მთავრობა რეიხსტაგში წინადადებას შეიტანს ახალი სესხის შესახებ.

— —

ჰოლანდიის გაზეთები იუწყებიან მეფე ალბერტის გმირობის შესახებ ნორდსხოოტესა და ლომბაერტზიიდესთან, სადაც უკანასკნელ დღეებში გაცხოველებული ბრძოლები ხდებოდა. გერმანელები ცდილობდენ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარების ფრთებში შეჭრას. 17 ნოემბერს მათ გრიგალისებური ცეცხლი დაანთეს დალიტენის სექტორისკენ, სადაც ხმარობდენ სულის შემხუთავ და მომწამვლელ გაზიან ყუმბარებს.

მოწინავე თხრილებში მეფე ალბერტი მასკით იყო. გერმანელები, იფიქრეს რა რომ თხრილებში აღარავინ დარჩაო,—იერიშით წავიდენ. ბელგიელებმა ახლო მანძილზე მოუშვეს თუ არა მტერი, სეტყვასავით დააყარეს ტყვიის მტყორცნელებით, თოფებით და ყუმბარების მტყორცნელებით ცეცხლი. გერმანელები ასობით სწყდებოდენ. ჯარის სიმრავლემ ხელი შეუწყო მტერს თხრილებს მიახლოვებოდა, მაშინ ბელგიელებმა ხელით სასროლი ყუმბარები იხმარეს და შემდეგ კონტრიერიშზე გადავიდენ. ბრძოლის დროს გამოირკვა, რომ ბელგიელი ოფიცრები ხმალ-დახმალ ბრძოლაში ძლიერ დახელოვნებული ყოფილან. მეფე განუშორებლივ ორ ცეცხლს შუა იდგა. მის გვერდით ორი ოფიცერი მოიკლა. მეფე ძლივს დააკავეს ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისაგან.

რიგის ფრონტი.

კვირას რიგაში მოიყვანეს ახალი პარტია ტყვე გერმანელებისა, რომელნიც ხელში ჩაიგდეს ჩვენმა მზვერავებმა შორეულ მანძილის დაზვერვის დროს. ყველა ტყვე—ლანდშტურმისტები მოხუცებულები არიან. ტყვეები ამბობენ, რომ სამი კვირის ვარჯიშობის შემდეგ გერმანიიდან ფრონტზე პირდაპირ მოგვიყვანესო.

ტყვეების მუშაობა.

ვიტებსკის, პსკოვისა და ლიფლიანდიის გუბერნიებში ამჟამათ ფართოდ სარგებლობენ ტყვე ავსტრიელების შრომით სხვადასხვა სახაზინო, თუ სამეურნეო მუშაობის დროს. ტყვეები თავის სამუშაოს კეთილსინდისიერათ ასრულებენ. სამუშაოს მიმცემნიც ძლიერ კმაყოფილი არიან. ავსტრიელები, რომელთაც რუსული ენა იციან, რუსულ გაზეთებს დიდი ინტერესით კითხულობენ და თვალ ყურს ადევნებენ ომის მსვლელობას.

წყალ-ქვეშა ნავის დაღუპვა.

ბრესტიდან ბიურო იტყობინება, რომ საფრანგეთის წყალ-ქვეშა ნავი „ფრეზნელი“ 22 ნოემბერს ავსტრიის სამხედრო გემმა დაღუპაო. 2 ოფიცერი და 16 მეზღვაური ტყვეთ წაყვანილია.

მიმოსვლის შეწყვეტა არხანგელით.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ამანათების გზავნა რუსეთსა, სპარსეთსა და რუმინეთში არხანგელით შეწყვეტილია. 26 ნოემბრიდან ამ გზით ამანათების გზავნა არ იქნება. შვეციით გზა ჯერ კიდევ გახსნილია დაუზღვევ ამანათებისათვის. კვლავ მიიღება ამანათების გზავნა რუსეთში ნორვეგიითა და შვეციით.

საბერძნეთი. [თავის მართლება.

„ტიმსის“ ათინელი კორესპონდენტი მეფემ აუდიენციაზე მიიღო. მეფე კონსტანტინემ მასთან საუბრის დროს თავისი მწუხარება გამოსთქვა იმ ეჭვების გამო რომელსაც მას აწერენ და ბრალსა სდებენ მერყეობაში. მეფის მოვალეობაა არ მიიყვანოს თავისი სახელმწიფო კატასტროფამდი, ამისათვის კი საჭიროა ნეიტრალიტეტის დაცვა. ბელგიის უბედური მდგომარეობა სულ მუდამ თვალწინ უდგია მას და აფიქრებს.

მეფე თანახმაა ომში ჩაერიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ საბერძნეთს მისპობა მოელოდეს, ან და რომ სწამდეს ისეთი გამარჯვება, რომლითაც ის აანაზღაურებს გაღებულ მსხვერპლს. საბერძნეთზე ეჭვების მიტანა, რომ იგი ვერაგულათ ექცევა ინგლისსა და საფრანგეთს კი მისი (საბერძნეთის) შეურაცხყოფააო.

მეფე სჩივის მოკავშირეების პოლიტიკის გამოურკვევლობის გამო ბალკანეთში და აცხადებს, რომ საბერძნეთ—სერბიის ხელშეკრულებას მხოლოდ მხედველობაში აქვს ბულგარეთის მხრით თავდასხმა. მეფე უარს ყოფს, ვითომც რაიმე ხელშეკრულობა არსებობდეს საბერძნეთსა და ბულგარეთს შორის.

შემდეგ მეფე ამბობს, რომ ჩვენ კვლავ დავარწმუნეთ მოკავშირენი, რომ მათ არავითარი საფუძველი არა აქვთ შიში იქონიონ საბერძნეთის მხრით, მხოლოდ ამავე დროს მოვთხოვეთ მათ გარკვეული პროგრამა მოქმედებისა, რაზეც გვიპასუხეს, რომ ასეთი გარკვეული პროგრამა ჯერ მათ არა აქვთო. გეკითხებით: არის თუ არა საფუძველი მოვსთხოვოთ საბერძნეთს, რომ მან თავისი ჯარი სხვაგან გადაიყვანოს მაშინ, როდესაც თვით მოკავშირეებმა არ იციან დაიკავებენ თუ არა დატოვებულ რაიონს? საბერძნეთმა უნდა იცოდეს მოკავშირეთა გადაწყვეტილი გეგმები, თუმცა მას არ სურს დაარღვიოს ნეიტრალიტეტი, როგორიც უნდა იყოს ეს გეგმებიო.

გერმანული პრესა.

საზამთრო კამპანიის შესახებ „ფორვარტს“-ში მოთავსებულია საყურადღებო წერილი სოციალისტურ გაზეთის სამხედრო მიმომხილველის პოლკოვნიკ გედკესი, რომლის აზრითაც, მოსალოდნელია, რომ სიჩუმე ჩამოვარდეს ამ ზამთარში, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფრონტზე. გედკეს აზრით, ბრძოლის ასპარეზებზე სიწყნარე აუცილებელია სხვა დასხვა მრავალ მიზეზის გამო:

„საჭიროა, სწერს იგი,—შეივსოს მებრძოლ რაზმების დანაკლისი. უფრო საჭიროა შეივსოს დახარჯული სამხედრო სურსათი და შეგროვდეს ფრონტებზე ახალი ძალები მომავალ ბრძოლებისათვის. არც ერთ მებრძოლ მხარეში სამრეწველო მოქმედება (თუნდაც ამერიკის ინდუსტრიის დახმარებითაც) არ იქნება ისეთი ნაყოფიერი, რომ მებრძოლ მხარეებს შეეძლოთ უსაზღვროთ განაგრძონ ისეთი ცეცხლი,—როგორისაც ადგილი ჰქონდა შამპანსა და არტუაში ბრძოლის რომ სეკტემბრისა და ოკტომბრის განმავლობაში. ფრიად საყურადღებოა ამ შემთხვევაში ფინანსიური მოსაზრებებიც, რადგანაც ასეთი ბრძოლების წარმოება მოითხოვს ათეულ მილიონობით ხარჯს. უკანასკნელი იერიშის დროს გერმანელების წინააღმდეგ ინგლის—საფრანგეთს უნდა დახარჯოდა ყუმბარები და პატრონები სულ 25000,000 გირ. სტერ. ღირებული. ასეთი ბრძოლის შემდეგ ომის ხელმძღვანელთათვის მიუცილებელი საჭიროა ეკონომიის დაცვა, მიუხედავათ იმისა სურთ ეს მათ თუ არა. სამხედრო ოპერაციებს მართავს ეკონომიური მოსაზრებებიც ისე, როგორც სტატეგიული. და აი, შესაძლებელია, რომ სწორეთ ამ ეკონომიურმა მოსაზრებებმა მოაახლოვონ ომის დასრულების მომენტი.“ „რ. ვ.“

სიწყნარე კვლავ გძელდება.

„რუს. ვედ“. კიროვი სწერს:

„სიწყნარე კვლავ გძელდება: არც ჩვენსა და არც დასავლეთის ფრონტზე ამ ჟამათ დიდი შეტაკებები არ ხდება. არც ჩვენსა და არც დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ძლიერი მოპირდაპირის მოძრაობიდან არ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ მომავალი მოქმედების გეგმა.

ამ ჟამათ ყველას ყურადღება მიპყრობილია ბალკანეთის ბრძოლის ველისა და „ნეიტრალურ“ რუმინიისაკენ, რომლიდანაც ყველანი მოელიან გადამწყვეტ „სიტყვას“, გადამწყვეტ „მოქმედებას“.

მაგრამ საკითხავია:—მართლა ასეთი დიადი რუმინეთის როლი ნამდვილათ ბალკანეთში უნდა გადასწყდეს საერთაშორისო ომის ბედი? ან თუ გერმანიამ მხოლოდ იმ მიზნით [illegible]კენ, რომ ჩვენი და[illegible] უმთავრესი ჯარის ყურადღება ბალკანეთისაკენ მიექცია და თვით კი, [illegible] რა ბალკანეთში სამხედრო მოქმედებას, შეემზადებოდა გადამწყვეტ შეტევებისათვის აღმოსავლეთ-დასავლეთის უმთავრეს ფრონტებზე?

და თუ ემზადება მოპირდაპირე,—**სად და რით?**

ბულგარეთის გამოსვლა სერბიის წინააღმდეგ ძლიერ ხელსაყრელი სიმძიმე იყო ბრძოლის სასწორის გადახრისათვის გერმანეთისკენ. მაგრამ უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მოკავშირეთათვის რუმინეთის გამოსვლა ბულგარეთისა და ავსტრო უნგრეთის წინააღმდეგ.

საკითხია: შეუძლია თუ არა გერმანეთს ამის დაშვება?

და თუ არ „შეუძლია“, ან თუ არა სურს, მაშ რა ზომები უნდა მიიღოს მან?

უბრალო ლოღიკა გვიკარნახებს რომ გერმანეთს არ შეუძლია გულგრილათ შეხვდეს რუმინეთის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, და შეეცდება იქონიოს მაზე „ზეგავლენა“.

და რადგანაც ამ ზეგავლენის მოსახდენათ ერთად-ერთი და უტყუარი საბუთი „კულაკიაო“ ამიტომ გერმანია შეეცდება დაანახოს და აგრძნობიოს რუმინეთს ამ „კულაკის სიძლიერე“. უფრო მარტივათ რომ ვსთქვათ, ავსტრო გერმანელების მომავალი სამხედრო მოქმედება უნდა გავითარდეს და დაიწყოს სადმე რუმინეთის საზღვრების ახლოს. ამისათვის კი ბალკანეთსა და ბულგარეთში სამხედრო მოქმედების გაფართოება უმიზნო იქნება, ხოლო მეორე ბრძოლის ველათ კი ამ შემთხვევაში არის ჩვენი სამხრეთის (გალიცია-ბუკოვინის) რაიონი.

კორპუსებისა და დივიზიების გადაყვანა ამ რაიონისკენ გვეუბნება, რომ ეს რაიონი გახდება ავსტრო გერმანელების მომავალ შეტევების ბრძოლის ველათ, მაგრამ საფიქრელია—რა საჭიროა მათთვის ის შემზადება და ზომების მიღება, რომელსაც იგინი ამჟამათ ღებულობენ რიგა-დვინსკის რაიონში? ყველგან ხომ არ შეუძლიათ მათ შეტევითი ოპერაციები აწარმოონ?

რიგა დვინსკის რაიონი შეიცავს გერმანელების მოკლე საოპერაციო მანძილს პეტროგრადის მიმართულებით. ხელსაყრელი ადგილობრივი პირობები და ფართო წინასწარი შემზადება საშუალებას აძლევს გერმანელებს, სარგებლობენ რა

„დასელთა“ და „ფედერალისტთა“ ტაქტიკის შესახებ.

(იხ. „თანამედროვე აზრი“ 28, 29 30 ოკტომბრის წერილი „ან“-ისა).

მეტად დამახასიათებელია ხსენებული წერილი, რომელიც „დასელთა“ აზროვნობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

თუმცა გერონტი ქიქოძემ ერთ-ერთი საკითხი, ავტორის მიერ აღძრული, თითქმის სავსებით ამოსწურა, მაგრამ ბევრი რამე დარჩა აღუნიშნელი და გაუსინჯველი. და ამ წერილის მიზანია, ყველა ხსენებული საპირბოროტო საკითხი ეროვნულ-დემოკრატიული პრინციპების მიხედვით განიხილოს და გააშუქოს.

ავტორი, როგორც მართლ-მორწმუნე, ორტოდოქსალი მარქსისტი, თავისი მსოფლმხედველობის საფუძვლად ორ პრინციპს აღიარებს: 1) სოციალურ მოვლენათა—ეკონომიური მიზეზი უდევს საფუძვლად; 2) ისტორია არის კლასთა ბრძოლა.

ეროვნულ-დემოკრატიული თვალთა ხედვით ორივე ეს დებულება შემცდარია და უარყოფილი უნდა იქნეს.

რისთვის იბრძვიან დღეს ერნი და სახელმწიფონი? ნუ თუ მარტო ეკონომიური ინტერესებისათვის? მაგრამ მაშინ ხომ გაუგებარი იქნებოდა ომის დედააზრი: თითოეული სახელმწიფოს მოქალაქეთათვის ამ მხრით ათას წილ აჯობებდა, მთელი ქვეყანა რომ ერთ უზარმაზარ სახელმწიფოდ გარდაქმნილიყო, ე. ი. აღარც ბაჟები ყოფილიყო, აღარც ომიანობა და აღარც კონტრიბუცია. და მაშინ ერვე ახლაც ის ერვე იქნებოდა, რომელიც ამბობდა: საფრანგეთს რომ გერმანია დაეცეს, საფრანგეთის პროლეტარიატმა ხელიც არ უნდა გაანძრიოს მამულის დასაცავადო.

და, ცხადია, მარტო ეკონომიური მიზეზი რომ ჰქონოდა თითოეულ ერს ან სახელმწიფოს, პლეხანოვი, ბურცევი და მათი ამხანაგები თავს არ შეიწუხებდენ და, რასაც მთელ. თავის სიცოცხლეში ებრძოდენ, იმის ქადაგებას არ დაიწყებდენ.

მაშ რისთვის შეუერთდენ მთელი ქვეყნის სოციალისტები იმ მთავრობათ, რომელნიც მათ მიერ დემოკრატიის მტრებად იყვნენ აღსარებული? მისთვის, რომ სოციალისტსაც, როგორც არა-სოციალისტს, უწინარეს ყოვლისა თავისი ეროვნული ვინაობა სურს დაიცვას.

შეიძლება გვითხრან: თვით ერი ეკონომიურმა მიზეზმა წარმოშვაო. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს დებულებაც ისეთივე სოფიზმია, როგორიც არის ზევით ხსენებული, და მეორე, რა მიზეზისაგანაც უნდა იყოს წარმოშობილი, ერი თავისთავად წარმოადგენს სოციალურ ფაქტორს, რომლის შინაარსს მარტო ეკონომიური კატეგორია ვერ ამოსწურავს.

მაშასადამე, თანამედროვე დიდმა ომმა საბოლოოდ გააქარწყლა ის შეხედულობა, ვითომ სოციალურ მოვლენათა ერთად-ერთი მიზეზი—ეკონომიური ელემენტია.

ბ. „ან“, როგორც მართლმორწმუნე მარქსისტი, ისტორიის მეორე ღერძად აგრეთვე კლასთა ბრძოლას აღიარებს. მაგრამ დღევანდელი საერთაშორისო ომი ამ შეხედულობასაც აქარწყლებს.

მართლაც: თუ კი სულ ერთია მუშისთვის, ვინ იქნება მისი ექსპლოატატორი, ან კაპიტალისტი, რუსი თუ გერმანელი, რისთვის-და იბრძვის გერმანელი მუშა გერმანიისა ან რუსის მუშა რუსეთის დასაცავად?! და თუ, პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ, როდესაც სამშობლოს განსაცდელი მოევლინა, მუშებმა ძმურად ხელი გაუწოდეს ბურჟუაზიასა და კლასიური ინტერესები საერთო, ეროვნული ერთობის იდეას ანაცვალეს, ცხადია, აწ ისტორიის ღერძად იქნება აღსარებული არა მხოლოდ კლასიური, არამედ ეროვნული ბრძოლაც.

მეორე მხრით, ბ. „ან“ გვეუბნება: დღეს ერები კი არა, სახელმწიფოები იბრძვიანო, და ამით ცდილობს ჩამოართვას ეროვნულ ელემენტს ისტორიული მნიშვნელობა.

მაგრამ ეს სოფიზმია, რადგან განგებ ყურადუღებელი და მიფუჩეჩებულია ერთი დიდი ფაქტი: თითოეული დღევანდელი სახელმწიფო ეროვნული ბრძოლის შედეგია და, მაშასადამე, შეიცავს გაბატონებულსა და დაჩაგრულ ერებს. და სახელმწიფოებრივი, ანუ. რაც იგივეა, იმპერიალისტური პოლიტიკა—გაბატონებული ერის პოლიტიკაა.

ეს სავსებით შეეფერება საყოველთაო ბიოლოგიურ კანონს: თითოეული ორგანიზმი იზრდება სხვა ორგანიზმების შევიწროებით ან ჩაყლაპვით.

მაშ, რა ძალა აკავშირებს სახელმწიფოს სხვა და სხვა ერსა და კუთხეს? რა შეიქმს მათ ერთ სახელმწიფოდ, იმპერიად?—ერთი რომელიმე გაბატონებული ერი, რომელიც თავის პოლიტიკურ მოძრაობაში პატარა ერებს ისე მიაქანებს, როგორც დიდი პლანეტა პატარათ, და ეროვნული ელემენტი რომ სახელმწიფოს ამომძრავებელ ღერძს წარმოადგენს, ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ ჯერ ერთი, ერთი ერის სახელმწიფოებრივი გაერთიანება უფრო ადვილია ხოლმე, ვიდრე მრავალი ერისა, და, მეორე, ერთი ერისაგან შემდგარ სახელმწიფოს მეტი წონასწორობა და სიმტკიცე მოეპოება, ვიდრე მრავალ-ერიანს. ამას თვით ბ. „ან“-იც აღიარებს ერის თავის წერილში.

რა უნდა აღვიაროთ სამშობლოდ? ამ საკითხზე, ცხადია, ბ. „ან“ პასუხს ვერ მოგვცემს. მაშასადამე, ბ. „ან“-ის შეხედულობაში „სამშობლოს“ მცნებას ადგილი აღარა რჩება. და ამ მხრით ის სავსებით იმეორებს ძველი სოციალისტების დებულებას: „პროლეტარიატს მამული არ აქვსო“.

ბ. „ან“ ამბობს, დღევანდელ ომში ინტერნაციონალიზმი, ე. ი. საერთაშორისო ერობა, ნაციონალიზმმა კი არა, იმპერიალიზმმა დაამარცხაო. მაგრამ, როგორცა ვთქვით, თვით იმპერიალიზმი—ნაციონალიზმის გამარჯვებას მოასწავებს. მაშ, იმის თქმა, ნაციონალიზმი იმპერიალიზმმა დაამარცხაო, ნიშნავს თქმას, ნაციონალიზმი ნაციონალიზმმა დაამარცხაო.

და, ცხადია, ნაციონალიზმს ვერ დაუპირდაპირებთ ინტერნაციონალიზმს, რომელიც თავისი მხრით ნაციონალიზმის განსახიერებასვე წარმოადგენს, ეს უბრალო ტავტოლოგია იქნება!

ნაციონალიზმი უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე იმპერიალიზმი, ე. ი. ნაციონალიზმი ორგვარია: ინტერნაციონალური და იმპერიალისტური. ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ნაციათა, ანუ ერთა, თავისუფალ კავშირს, იმპერიალიზმი კი ერთი ერის მიერ სხვა ერთა დაპყრობას.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: უნდა დაუპირდაპიროთ ერთმანეთს არა ნაციონალიზმი და იმპერიალიზმი ან ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი, არამედ ინტერნაციონალიზმი და იმპერიალიზმი.

მაშასადამე, ამ ომში გაიმარჯვა ეროვნულმა იმპერიალიზმმა ინტერნაციონალიზმზე, ე. ი. აგრესიულმა ეროვნულმა პრინციპმა საერთაშორისო ერობაზე.

ბ. „ან“ კი ცდილობს ფარდა გადააფაროს იმპერიალიზმის აგრესიულ ნაციონალიზმს, ე. ი. არ უნდა დაინახოს იმპერიალიზმში ცალმხრივი ეროვნული პრინციპის გამარჯვება და უკიდურესი განვითარება, რადგან არ უნდა ეროვნულს, ნაციონალურ, ელემენტს სოციალურ მოვლენათა შორის შესაფერი ადგილი დაუთმოს. ყოველგვარი სოციალური მოვლენა მხოლოდ კლასთა ბრძოლისაგან წარმოშობილია, ტ ეროვნულ ელემენტს, ნაციონალიზმს, ამ ომის წარმოშობაში არავითარი წილი არ უდევს. მაშ ნაციონალიზმი უმნიშვნელო სოციალური ფაქტორიაო და სხ. აი დედა-აზრი მისი წერილისა. ამიტომავე უწუნებს ბ. „ან“ ფედერალისტებს ავტ.-უმთავრეს საპროგრამო მუხლად აღსარებას და ამ საკითხის გამორკვევისათვის დიდი პარტიული ენერგიის დახარჯვას. „განა არის სადმე ისეთი პარტია, რომელიც ასე დაუსრულებლივ სწერდეს თავის მთავარ პროგრამულ მუხლზე? ყველა პარტია ბევრს სწერს და ფიქრობს ტაქტიკურ და პრაქტიკულ კითხვებზე, ხოლო პროგრამაზე იშვიათად; მისი მთავარი დებულება ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული და გარკვეული აქვსო“, ამბობს ავტორი.

ეს სიტყვები მშვენიერად ახასიათებს მარქსისტულ გაყინულ დოგმატიზმს—მთავარი საპროგრამო დებულება „ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეული“ უნდა იყოს და მისი გადასინჯვა ცოდვააო! ამას იტყვის მხოლოდ ფანატიკოსი და არა ის, ვისაც თუნდა თავის პარტიულ დოგმას ჭეშმარიტება ურჩევნია. ჯერ ერთი, მართალი არ არის. ვითომ არაოდეს ტ არსად იმდენი არ უწერიათ ავტონომიაზე რამდენიც უწერიათ ჩვენს ფედერალისტებს. გაიხსენეთ საფრანგეთის დიდი რევო-

ზღვითა და ხმელეთით, უფრო სასწრაფოთ შეაგროვონ საგრძნობი ძალები აქ. ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა და მნიშვნელოვანიც.

მაგრამ, მეორეს მხრით, რიგა-დვინსკის რაიონი ძლიერ დაშორებულია რუმინეთზე და „პეტროგრადისკენ გალაშქრება" კი დიდ ძალას მოითხოვს. შეუძლიათ თუ არა გერმანელებს დღევანდელ პირობებში გვერდი აუარონ რუმინეთს?

და თუ არ შეუძლიათ რა ზომები უნდა მიიღონ?

ამ კითხვებზე პასუხის მიცემის დროს უთუოდ იმ ლოღიკურ დასკვნამდი უნდა მივიდეთ, რომ ავსტრო-გერმანელების მომავალი შეტევა გაფართოვდება ბუკოვინასა და სამხრეთ გალიციაში, თუმცა ამ შემთხვევაში ისევ გამოცანათ რჩება რიგა დვინსკის ფრონტი.

„სიწყნარე კვლავ გრძელდება", მაგრამ შემზადება მომავალი შეტევებისათვის უეჭველათ სწარმოებს და სასწრაფოთაც. ასე რომ ეს შემზადება, შესაძლებელია, უკვე დასრულებულათ ჩაითვალოს.

ყოველ ეჭვს გარეშე, რომ ჩვენ დიდი ამბების წინ ვდგევართ".

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა შემდეგი ცირკულიარი მიიღო და დაუგზავნა ყველა მაზრის უფროსებს:

საშობაო საჩუქარი კავკასიის ჯარის კაცთა არმიას, უავგუსტოესი მეუღლე მეფის მოადგილისა კავკასიაში, მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული აწყობს ორგანიზაციას კავკასიის არმიის ჯარის კაცთა საშობაო საჩუქარს—„კისეტები" (ტომრები). ყოველივე შემოწირული მისცემს გმირ ჩვენ ჯარის კაცთ საჩუქარს, რომელიც მოაგონებს მებრძოლთ, რომ დიდ დღესასწაულ ქრისტეს შობის დღეს ყოველივე ოჯახში მათ იგონებენ. შემოწირულება მიიღება მადლობით, მხოლოდ პლაკატებით, ფოსტის ქაღალდებით, კარანდაშებით, საპნებით, თუთუნებით, „ლედენცებით" და „სპაჩკებით" (წუმწუმებით), აგრეთვე თხოულობენ, რომ თითოეულ საჩუქარში იდვას მოთავსებული უმეტნაკლებოთ: ცხვირსახოცი, 5 საფოსტო ქაღალდი, კონვერტები 1 კარანდაში, ერთი მეოთხედი გირ. თამბაქო, ერთი მეოთხედი გირ. „ლედენცები" კარობკები წუმწუმების და საპნის. ყველა ეს შემოწირულება მიიღება ქალაქებში ქალაქებისა და სამაზრო პოლიციის სამმართველოში, სოფლათ კი ადგილობრივ საბოქაულო სამმართველოებში.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო პეტროგრადის მიტროპოლიტ პიტირიმისაგან: მხურვალე მადლობას გიძღვნი, საყვარელო თავადო, და ყველას ღირსეულ შვილს ჯვაროსან საქართველოისას, რომელიც დარწმუნებული არის იმერეთის ეკლესიის კარგ მომავალში. ეს დეპეში პასუხი იყო იმ მისალოცი დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ კვირას მიტროპოლიტ პიტირიმს.

◆ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებულ ალ. ხატისოვისაგან ქუთაისის ქალაქის მოურავმა შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო: კავკასიის ქალაქთა კავშირის განყოფილება ადგენს დიდ ტრანსპორტებს კავკასიის არმიის ჯარის კაცთა საშობაო საჩუქრებისათვის. ყველაფერი აქ უნდა შეგროვდეს. გთხოვთ ახლავ შეუდგეთ მუშაობას. სასურველია გამოგზავნა სავსე კისეტებისა საჩუქრებით გავსებული, რომელიც გამოიგზავნება აქ. თუ ფულის შესაკრებ ორგანიზაციას მოაწყობთ, მაშინ საჭიროა თითო მანეთი იქნეს თითო საჩუქარში. გამართეთ წარმოდგენები, სეანსები სხვა და სხვა წრეებში. მოიგონეთ ფულის შესაკრები საშუალებები რადგანაც მოთხოვნილება საჩუქრებისა დღითი დღე იზრდება. თუ საჭირო იქნება გამოვგზავნით ინსტრუქტორს. კეთილ ინებეთ და გავლენა იქონიეთ ყველა საზოგადო ორგანიზაციებზე, რომ ხელი შეუწყონ ამ საქმეს.

◆ კვირას, 29 ნოემბერს, ქართულის შავი ქვის დარბაზში შესდგა ქუთაისის გუბ. ქ. შ. წ. კ გამ. ყველა განყოფილებების წარმომადგენელთა კრება. მოწვეული იყო 16 წარმომადგენელი, გამოცხადდა მხოლოდ 5 წარ. ამ კრებაზე დაადგინეს: 1) ყოველწლობით მოიწვიონ განყოფილებების წარმომ. კრება. 2) იყოლიოს ყველა განყოფილება საკუთარი სამკითხველოების მეთვალყურე და წიგნების გამავრცელებელი აგენტი და ხელი შეუწყონ ქუთაისის განყოფილების აგენტს, როდესაც ის ჩავა წიგნების გასაყიდლათ. 3) ყველა განყოფილებებმა სამოქმედო რაიონებათ მიიღონ ის ადმინისტრატიული რაიონები, რომელ რაიონებსაც ისინი ეკუთვნიან.

4) მთავარი გამგეობას წევრები არჩეული უნდა იქნენ მთელი განყოფილებიდან, რომ საქმე უფრო კარგათ დააყენონ. 5) დასასრულ დაადგინეს რომ ყველა განყოფილებებმა თავის უბნებში მოაწყონ სცირნობა, რომლის შემოსავალიც უნდა გადაიდვას რომელიმე საზოგადო საქმისათვის. თუ რომელი დღე იქნეს არჩეული და ან რას მოახმარონ შემოსავალი ფული ამის გამორკვევა მიანდვეს მთავარ გამგეობას.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობა გუშინ უკვე შეუდგა ჯარის კაცთა ოჯახებისათვის ფულის დარიგებას.

◆ თავისუფალია ნოტარიუსის ადგილი გუდაუთაში (სოხუმის ოლქი), ამიტომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავჯდომარეს მრავალი თხოვნა მისდის. ამ ადგილზე მსურველების განცხადებანი დანიშნულია 19 დეკ. 1915 წ.

◆ ქუთაისის საგუბერნიო ციხის უფროსის თანაშემწე ვ. პოლოვნიკოვი დაინიშნა დ. ყვირილის ციხის უფროსის თანამდებობაზე. ყვირილის ციხის უფროსი ს. გეტოევი კი გადმოიყვანეს მის ადგილზე.

◆ 29 ნოემბერს, ქუთაისის თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზში მოხდა დეპუტატთა კრება, რომელზედაც უნდა გარჩეულიყო ჩვენში ერობის შემოღების საკითხი. ბევრი კამათის შემდეგ ამოირჩიეს კომისია, რომლებიც შეიმუშავებენ მასალას და ეს მასალა წარედგინება თბილისში არსებულ კომიტეტს. კომისიაში შედიან შემდეგი პირნი: მეფე ფაღავა, ს. მიქელაძე, პ. წულუკიძე, ი. მ. ჩიქოვანი, კ. აბაშიძე, ვ. წერეთელი, ა. ჩარკვიანი და გრ. გველესიანი.

დეპეში.

ყოვლად სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსმა, გიორგიმ შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა პეტროგრადში მის მაღალ უსამღვდელოესობის პეტროგრადის მიტროპოლიტს პიტირიმს.

პეტროგრადი. ალექსანდრე ნეველის ლავრა. მიტროპოლიტს პეტროგრადისას და ლადოგისას. უმაღლესი რესკრიპტის ძალით პეტროგრადის მიტროპოლიტათ თქვენმა დანიშვნამ უსაზღვროთ აღაფრთოვანა მთელი საქართველო. ქუთაისი ხარობს იმ აზრით, რომ ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება დაეფასებინა თქვენი ღვაწლი და თქვენი გულითადი სიყვარული და მიდრეკილება მეფის მოყვარულ ქართველი ერისადმი, რომელიც თქვენს პიროვნებაში ხედავდა და ხედავს სიყვარულით აღსავსე მწყემსმთავარს, მფარველსა და დამცველს ივერიის ეკლესიის ინტერესებისას.

ნება მომეცით, წმინდაო მეუფეო, მეც მხცოვანს თქვენს სკოლის ამხანაგს, ჩემდამი რწმუნებულ სამღვდელოებისა და ჩემის მხრითაც ვიძღვნა თქვენს უწმინდესობას გულითადი სალამი მონარქის უზენაესი ყურადღებისათვის.

პასუხი.

ქუთაისი. მის მაღალ უსამღვდელოესობას გიორგის.

თქვენ, ძვირფასო მეუფეო, ჩემო დაუვიწყარო სიყრმის ამხანაგო და მეგობარო, გულითადათ გმადლობ. გთხოვ ჩემი უღრმესი მადლობა გადასცეთ სამღვდელოებასაც ძვირფასი სალამისა და ლოცვისათვის.

მიტროპოლიტი პიტირიმი.

ახალი ჯარის გაწვევა

(ოფიციალური დეპეშა).

1916 წელს (დრო ცალკე იქნება გამოცხადებული) გაიწვევენ ახალ ჯარს—1918 წელში გასაწვევებს, ე. ი. იმ ახალგაზრდებს, რომელნიც 1897 წელს დაიბადნენ. ესენი, როგორც 1917 წლის გაწვეულნი, ვალდებულნი არიან გამოცხადნენ იმ სამაზრო სამხედრო საკრებულოში, სადაც სცხოვრობენ (როგორც მობილიზაციის დროს ხდება ხოლმე). არავითარი გადადება გაწვევის ვადისა ქონებრივი და ოჯახური პირობების გამო არ მოხდება, ზოგიერთ ქვემო მოხსენებულ პირობებისა გარდა. ვინც კი ჯანსაღობის მხრივ გამოსადეგად იქნება მიჩნეული, იმას ჯარში გაიწვევენ, რანაირიც არ უნდა იყოს იმისი ოჯახური მდგომარეობა. ისინი, ვისაც ოჯახური მდგომარეობით პირველი ხარისხის შეღავათი აქვს, მეორე ხარისხის მოლაშქრეებად ჩაირიცხებიან და წაყვანილ იქმნებიან ჯარში დანარჩენებთან ერთად. ამასთანა პირთა ოჯახის წევრებს დღიდან ჯარში ჩარიცხვისა გადაწყვეტილი დახმარება მიეცემათ. დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ პირველი ხარისხის შეღავათი აქვთ, უნდა წარდგენილ იქმნას სამაზრო ან საქალაქო სამხედრო საკრებულოში არა უგვიანეს იმ ვადის პირველ დღისა, როდესაც გადაწყვეტილი იქნება ჯარის მოგროვება. იმ ადგილებიდან გამოქცეულებისთვის, რომლებიც ახლა მტერს უჭირავს, ზემოხსენებული ვადა არ არსებობს. იმ პირებმა, რომლებიც ოჯახის სიებში არ არიან შეტანილნი, აგრეთვე გლეხებმა და მდაბიო მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახური მდგომარეობის შესახებ არაფერი იციან, წოდებრივმა დაწესებულებებმა, უნდა თითონ, ან ნათესავების ხელით წარმოადგინონ დასამტკიცებელი საბუთები და მოწმობები მართლებისა ან უწყებათა უფროსებისა მათი ოჯახური მდგომარეობის შესახებ. მოწმობები წარდგენილ უნდა იქმნას პოლიციაში, ან სოფლის სამმართველოში.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლენი (ეს სასწავლებლები ჩამოთვლილია სამხედრო ბეგრის წესდების 76 მუხლის დამატებაში) აგრეთვე იმ სასწავლებელთა მოსწავლენი, რომელნიც იმავე წესდების მე-77—79-ე მუხლებში არიან აღნიშნულნი სამაზრო ან საქალაქო საკრებულოში განცხადება შეიტანონ გაწვევის ვადის გასაგრძელებლად სწავლის დასამთავრებლად არა უგვიანეს 1916 წლის 1 იანვრისა. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს უფროსების მოწმობა, რომ ახალგაზრდა სასწავლებელშია. კერძო სკოლის მოწაფეთ უფლება აქვთ ვადის გადადებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლებელში შევიდნენ არა უგვიანეს 1914 წლის 1 ოქტომბრისა. თუ ახალგაზრდანი ისეთ სკოლაში სწავლობენ, რომელთაც კანონით მინიჭებული არა აქვთ უფლება ვადის გადადებისა შეუძლიათ ისარგებლონ ამ უფლებით წესდების 81 მუხლის ძალით, თუ სათანადო შუამდგომლობა უფროსების მიერ წარდგენილ ექნება იმ უწყებათა უფროსებს, რომელთა განკარგულებაშიაც იმყოფება სასწავლებელი, არა უგვიანეს 1916 წლის 1 დეკემბრისა. თავისუფალი მსმენელნი იმპერიის სასწავლებლისა, უცხოეთში მოსწავლენი, მოსამსახურენი იმ დაწესებულებებისა, რომელნიც სახელმწიფოს თავის დაცვისთვის მუშაობენ, ვალდებულნი არიან სხვებთან ერთად გამოცხადნენ შესაკრებელ ადგილას. უკანასკნელთ თუ მინიჭებული აქვთ უფლება ვადის გადადებისა, აღინიშნებიან სიაში და დაუყოვნებლივ დაბრუნებულ იქნებიან.

—

პეტროგრადი. 27 ნოემბერი. უმაღლესად დამტკიცდა მინისტრთა საბჭოს დებულება, რომლის ძალითაც ხელ-ახლად უნდა იქმნან შემოწმებულნი ის პირნი, რომელნიც წინად განთავისუფლდნენ, როგორც სამხედრო სამსახურისთვის უვარგისნი.

სასულიერო კონცერტისა გამო.

ძველის ძველია ქართველი ერი და ძველის ძველი აქვს მას, როგორც სხვა და სხვა დარგი კულტურისა, ისე საეკლესიო-საერო-სიმღერა გალობაც.

სანამ ქრისტიანობას მიიღებდა და კერპთ თაყვანის მცემლობაში იყო, ქართველ ერს დიდად განვითარებული ჰქონდა ეროვნული და სამლოცველო სიმღერ-გალობა. ძველი „სუფრული", რომელსაც ქართლ-კახეთ-ზემო იმერეთში მღერიან, „ჩანგური", „ჰარალე" და სხვა მრავალი ძველი სიმღერა სწორეთ კერპთ თაყვანის მცემლობაში შეთხზულია ერის გენიოსობისაგან, და ამ ძველ სიმღერებს ლოცვის, მსხვერპლის შეწირვის დროს წართქვამდენ ხოლმე და დიდად გავრცელებულიც იყო ხალხში.

ვისაც [illegible] აბაშიძეებისა და ქართლელი ცაციშვილების ნათქვამი „სუფრული", „ჩანგური" და „ჰარალე" მოუსმენია დამემოწმება, რომ ამ ჰანგთა შემთხზველი ერი ესტეტიურ გრძნობას არ ყოფილა მოკლებული. განსვენებული გ. წერეთელი პირდაპირ ამტკიცებს,

---

ლიუციის დროს პოლიტიკური და ლიტერატურული ბრძოლა საფრანგეთის ფედერაციად თუ ცენტრალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ, გაიხსენეთ აგრეთვე, რამდენი წელიწადი დასჭირდათ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს, ვიდრე გამოარკვევდენ თავისი შტატებისა (ავტონომიებისა) და ფედერაციის კონსტიტუციას; კიდევ უფრო დიდი დრო მოანდომეს ამ საკითხისავე გამორკვევას ავსტრალიის ფედერატიულმა შტატებმა, თუმცა წინ ედვათ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მზა-მზარეული კონსტიტუცია; გაიხსენეთ აგრეთვე, რა დიდი ბრძოლა იყო და არის თვით შვეიცარიაში ცენტრალისტებსა და დეცენტრალისტებს შორის, რამდენი მელანი და პარტიული ენერგია შეეწირა ირლანდიაში ავტონომიისათვის ბრძოლასა, და სხ.

ყოველი სნეული, ვიდრე არ განიკურნება, თავის სენს უჩივის. აგრეთვე თითოეული პარტია უმთავრესად თავისი უმთავრესი მიზნის განხორციელებისათვის ზრუნავს და სწირავს თავის ენერგიას.

მეორე, არც ის არის მართალი, ვითომ არცერთი თანამედროვე პარტია თავისი უმთავრესი საპროგრამო დებულების შესახებ ბევრს არა სწერს. გაიხსენეთ ლიტერატურული ბრძოლა სახელმწიფოებრივ სოციალიზმსა, ანარქიზმსა, რევოლიუციონურ სინდიკალიზმსა, ნეომარქსიზმსა, და სხ. შორის? ამ მიმართულებათა შორის არა ნაკლებია პრინციპიალური, ვიდრე ტაქტიკური განსხვავება.

და განა შეედრება რამე იმ აუარებელ ენერგიას, რომელიც მოახმარეს ერთმანეთთან ბრძოლას რუსეთის ნაროდნიკებმა და სოციალისტ-რევოლიუციონურებმა ერთი მხრით და სოციალ-დემოკრატებმა მეორე მხრით? ან თვით სოციალდემოკრატიის „ბოლშევიკებმა და მენშევიკებმა"? სწორეთ „ან"-ისეულ ბრალდებაზე ნათქვამი: სხვის თვალში ეძებს ბეწვს, თვისაში კი ვერ ხედავს დვირესო.

და, მესამე, უმთავრესი პარტიული დებულების მივიწყება, მიგდება, გადაუსინჯველობა, პარტიული დაქვეითებისა და დაკნინებისა და გაფანატიკოსების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. როდესაც რომელსამე დებულებას კრიტიკის უშუამავლოდ აღიარებ, მეცნიერული რწმენის ადგილს ფანატიკური, ბრმა რწმენა იჭერს, რომელიც ხელს უშლის იდეურ ევოლიუციას, პროგრესს. ამიტომ, როდესაც პარტია არ უფრთხის თავის უმთავრეს დებულებათა კრიტიკის დარჯაკში გატარებას, ეს მის იდეურ ცხოველმყოფელობას მოასწავებს. და ჩვენ, პირიქით, მოვუწოდებთ პარტიებს, ხშირად ამოალაგონ ხოლმე გულის კუნჭულიდან თავისი საპროგრამო დოგმები, გადაათვალიერონ და გადასინჯონ კრიტიკული თვალით და, რაც თვალში არ მოვათ და ჭკუაში არ დაუჯდებათ, შეცვალონ და უკუაგდონ. მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო პარტიულ ფანატიზმს და გაეხსნება გზა ჭეშმარიტებას.

არ შემიძლია გვერდი აუარო კიდევ ერთ მოვლენას. ბ. „ან" თანაგრძნობას უცხადებს ბ. „იმ—ამ"-ის მიერ წამოყენებულ შეთანხმების პირობას, რომლის მიხედვით ქართველმა ერმა ისტორიული საქართველოს ერთ ნაწილზე ხელი უნდა აიღოს. ის ამბობს: საქართველოსი და სომხეთის თვითმართველობათა გამიჯნვა საკავკასიო საკითხია და, მაშასადამე, კავკასიის ერების ერთმანეთთან შეთანხმებით და დათმობით უნდა გადაწყდესო.

კეთილი! მაგრამ კავკასიაში ხომ მარტო ქართველები და სომხები არა ცხოვრებენ და უსამართლობა იქნებოდა, თათარები გაგვენაპირებია. ამას გარდა საქართველოს ავტონომია რუსეთის იმპერიის ფარგლებში იქნება და ამ საკითხის გადაჭრა ყოვლის უწინარესად რუსებზე იქნება დამოკიდებული. და კავკასიის თვით-მართველობათა გამიჯნვა მარტო საკავკასიო კი არა, იმავე დროს და კიდევ უფროც სარუსეთო საკითხია.

და, მეორე, თუ კი ბ. „ან" „იმ—ამ"-ის აზრს სავსებითა და შეუსწორებლად აღიარებს, მან უნდა უარყოს შპრინგერისა და ოტო-ბაუერის ძირითადი დებულება, რომელიც საადმინისტრაციოსა, სამოსამართლოსა და საერობო ავტონომიური თვითმართველობის საფუძვლად ეკონომიურ პირობასა სთვლის.

მეორე მხრით, „დასელთა" შელოდმა რომ ფედერალისტების ეს ერთი ნაბიჯი მოიწონა, ვფიქრობ, ეს პირველი შერიგების პირველი საფეხურის მომასწავებელია. მართლაც! თუ პარტიულ ბისტს მოიშორებენ თვალთაგან და ფხიზლად დაუკვირდებიან საქმის ვითარებას, ფიცი, რჯული, მათ შორის არავითარი პრინციპიალური განსხვავება აღარ არის და მათი შეუერთებლობა უბრალო გაუგებრობისა და პარტიული ჟინიანობის მეტი არა არის რა!

დასასრულ ორიოდე სიტყვა კიდევ: ბ. „ან" ამბობს: სოციალდემოკრატიის დეპუტატები არსოდეს უარს არ ამბობენ იმაზე, რის განხორციელებაც დღესვე შესაძლებელი, და, თუ, მაგალითად, მათ კავკასიაში ერობის შემოღების კანონპროექტის შედგენა არ ითავეს ან არ წარუდგინეს სათათბიროს, მიტომ, რომ, სულ ერთია, სათათბირო ცენზიანი ერობის პროექტსაც კი დაიწუნებდაო.

მაგრამ ამგვარი თავის მართლება—შუამი სოფიზმია. საქმე ის კი არ არის, დაიწუნებდა თუ მოიწონებდა სათათბირო საკანონმდებლო პროექტს, არამედ ის, რომ ამგვარი პროექტის შესახებ საკანონმდებლო დაწესებულებაში ბჭობასა და კამათს საზოგადოდ კავკასიისათვის და კერძოდ საქართველოსათვის უდიდესი ზნეობრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა და იმავე დროს პროექტის დაკანონებასაც დააჩქარებდა.

და, როდესაც ბ. კარლო ჩხეიძე საჯაროდ აცხადებს, ცენზიანი ერობის პროექტს ვერ წარვუდგენ სათათბიროსა და მხარს ვერ დავუჭერო, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ სოციალდემოკრატიის ტაქტიკა ხელს უშლის ჩვენი დეპუტატების საკანონმდებლო ინიციატივასა და, ვიდრე ისინი დეპუტატებად იქნებიან, არა თუ ავტონომია, არამედ უბრალო ერობაც კი არ გველირსება.

ამგვარივე ნაკლი ჰქონდა ფედერალისტების საკანონმდებლო ტაქტიკასაც. განსვენებული ვ. გელოვანი თავის პარტიის დადგენილებას დაემორჩილა და „შრომის ჯგუფში" დაჯდა და მან, როგორც უფრო გულწრფელმა ადამიანმა, არ დაფარა, „შრომის ჯგუფი" ხელს მიშლის, ეროვნულ მიზანს ვემსახუროო. „მე და კერენსკი მუდამ ერთმანეთს ვეღრჯენთო", აი მისი სიტყვები. აი რა სთქვა კიდევ მან ერობის პროექტის შესახებ. მე, როგორც „შრომის ჯგუფის" წევრს, შემიძლია წარვუდგინო სათათბიროს მხოლოდ სოციალისტური ერობის კანონპროექტი და, თუ ჩემი პროექტი გადაამახინჯეს პროგრესისტებმა და კადეტებმა, იძულებული ვიქნები მათ მიერ შემუშავებული ცენზიანი ერობის კანონპროექტს შავი კენჭი მივსცე, რადგან ამას ჯგუფური ტაქტიკა მავალებსო.

რაც შეეხება ავტონომიის კანონპროექტს, მადლობა ღმერთს, რომ ამის შესახებ მხოლოდ პრინციპიალურ განცხადებას დასჯერდა და პრაქტიკული ნაბიჯი არ გადასდგა, რადგან, როგორც ფედერალისტი, იძულებული იქნებოდა ჩამოეჭრა საქართველოს ტერიტორიისათვის ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები, არტაანი, ოლთისი (ტაო) და ერუშეთი, ზაქათალას ოლქი და სოხუმის ოლქის ნაწილი. ამას კი, უეჭველია, ხელზე დაიხვევდენ ჩვენი მოპირდაპირენი!

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო კიდევ ერთი დიდი ფაქტი. სათათბიროს ისტორიულ სხდომაზე, როდესაც თითოეულმა წარმომადგენელმა აღნიშნა თავისი ერის მონაწილეობა და ღვაწლი ამ საერთო განსაცდელის დროს, მხოლოდ ჩვენი დეპუტატები სდუმდენ და არ ახსნეს ქართველი ერის შვილთა საკვირველი გმირობა და თავდადება, თუმცა ამ დროს მათი ხმა ძლიერ გვჭირდებოდა, რადგან შავი პროვოკაცია თავს დაგვნხაოდა.

როგორც გავიგეთ, ა. ჩხენკელის მოხსენება მის ფრაქციას დაეწუნებია და ნება არ მიეცა მისთვის, ქართველების შესახებ ხმა ამოეღო!

ბ. „ან"-ის აზრით, ეს და ბევრი ამგვარი შეცდომა სრულიადაც ვერ შეარყევს მარქსიზმს, რომელიც სხვათა შორის დაჩაგრული ერის ინტერესების დაცვასაც აღიარებსო.

მაგრამ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო", მივუგებთ ჩვენი მხრით ბ. „ან"-ს და რა დასაჯერებელია ცალიერი სიტყვები, როდესაც ფაქტები სულ სხვას გვეუბნებიან?!

და ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ ეროვნულ დემოკრატიას შეუძლია დაიცვას სათათბიროში ჩვენი ეროვნული ინტერესები.

ისარი.

(იხილე 1870—5 წლების კრებული) რომ „ჰარალე“ ქართველთა ერთ ერთ ძველის ძველ ღმერთის ერქვა და მის სახოტბელად არის შეთხზულიო.

ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ზემოდ მოყვანილი გალობა-სიმღერები, არამც თუ მთისპო, არამედ მთიულთ ოჯახებში ისე ქორწილი და სხვა რაიმე დღესასწაულობა არ იქმნება, რომ არ ითქვას, რაიც დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ხსენებული სიმღერები ეროვნული და ძველის ძველია.

მოგეხსენებათ ქართველმა ერმა რომ ქრისტიანობა მიიღო, მღვდლები და მღვდელმთავარი საბერძნეთიდან მოიყვანეს და პირველ ხანებში ბერძნულ კილოზე სრულდებოდა საეკლესიო გალობები, მაგრამ როცა ქრისტიანობა გავრცელდა ბერძნული კილო თანდათანობით განიდევნა და მისი ადგილი ეროვნულმა ქართულმა კილომ დაიკავა, რაზედაც დიდი გავლენა იქონია კრებების დროს ხმარებულმა ქართულმა სამღვდელო კილომაც.

XII და XIII საუკუნეში საეკლესიო ეროვნულმა გალობამ უმაღლეს ხარისხამდი მიაღწია, შემდეგ საუკუნოებში კი თუმცა კილო ერთი დარჩა, მაგრამ წართქმა გალობა-სიმღერის სხვა და სხვა გემოვნებაზე სრულდებოდა და, დღესაც რომ დავაკვირდეთ შევნიშნავთ, რომ **ამერული** და **იმერული** საეკლესიო გალობა და ეროვნული სიმღერები ერთის ძირითადი კილოსანი არიან, მაგრამ სხვა და სხვა გემოზე იგალობება. ამერული კილო (ქართლ-კახური) უფრო გახევებულია და სადა, ხოლო იმერული კი—გადაკლიმანქურებულია, მაგრამ ორივეში დაცულია ძველი კილო; ეს ასეც უნდა იყოს: ერთი და იგივე საგალობელი ჯერ ქართლ-კახელებს რომ აგალობოთ, მერე გურულებს შენიშნავთ, რომ პირველებმა უფრო დინჯათ და აუჩქარებლათ იგალობეს, მანამ უკანასკნელებმა. მაგრამ ამას რომ გავყვეთ შორს წაგვიყვანს.

დავიწყოთ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგ.

როდესაც ქართველი ერი რუსეთს შეუერთდა საეკლესიო გალობა დიდად გავითარებული იყო. მეფისა, მღვდელ-თავართა და დიდკაცთა სადილ-ვახშმის წინ ჯერ გალობით წარმოსთქვამდენ „მეუფეო ზეცათაო“ „მამაო ჩვენოს“, ანუ „დღეს სამღვთომან მადლმან შეგვკრიბა ჩვენ“ და მერე ტრაპეზს შეექცეოდენ. თითოეულს მღვდელ-მთავარს თავისი მგალობელთა გუნდი ჰყავდა, რომლებიც დიდის პრივილეგიით სარგებლობდენ ცხოვრებაში, მაგრამ წარსული საუკუნის 70 წლიდან თანდათან ქრება საეკლესიო გალობა. მოხუცნი იხოცებიან და ყმაწვილნი აღარ სწავლობენ და დღეს ხეირიანი ეროვნული გალობა სრულიად აღარ ისმის, არა თუ სოფლის ეკლესიებში არამედ, როგორც ფოცხვერაშვილმა შენიშნა,—საკათედრო ტაძრებშიაც კი, მაგრამ ვინუგეშოთ თავი იმით, რომ თანდათან ჩნდებიან ახალგაზდა მომღერლები რომლებიც ცდილობენ ძველი ეროვნულ—მხატრული საეკლესიო-საერო გალობა-სიმღერათა შემოტრიალებას და მათში პირველი ადგილი უნდა ვაკუთნოთ ბ. ფოცხვერაშვილს.

მაგრამ ვიდრე ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტის შესახებ ვიტყოდე რასმენ, ჯერ ვიკითხოთ: ვინ უნდა აღადგინოს ეროვნული საეკლესიო გალობა? ჩემის აზრით ჩვენი ძველი გალობა უნდა აღადგინოს მწყემსთა და სამწყსოთა ერთად მოქმედებამ.

ბ-ნმა ფოცხვერაშვილმა საყვედურით მიმართა სამღვდელოებას და უკიჟინა უმოქმედობა. ერთის მხრით ეს საყვედური საფუძვლიანია, მეორეს მხრით კი-არა!

ვითომ სამღვდელოებას დღევანდლამდე ამ მხრით არაფერი გაუკეთებია რა? როგორ არ გააკეთა, თუმცა მეტის გაკეთება შეეძლო. სარძიკველი უკვე ჩაყრილია 1882, 3 და 4 წლებში. ნეტარხსენებულმა გაბრიელ ეპისკოპოსმა დეპუტატთა კრებაზე წინადადება მისცა სამღვდელოებას ეზრუნა საეკლესიო გალობათა აღდგენისათვის, მაგრამ აღმოჩდნენ თვით სამღვდელოებაში ურწმუნო თომანი „რომლებიც ამტკიცებდენ იმერული კილოს ნოტებზე გადაღება შეუძლებელიაო.

მაგრამ განსვენებულმა ფ. ქორიძემ დაუმტკიცა მათ, რომ არც ერთს ერში არ მოიპოვება ისეთი საეკლესიო საერო სიმღერ-გალობა, რომელიც მუსიკის კანონთა გარეშე დარჩეს. ამის შემდეგ სამღვდელოებამ კამიტეტი აირჩია, მიანდო ქორიძესთან მოლაპარაკება, მიუჩინა მას სამი მგალობელი: ივლიანე წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე და გიტო ჰოლოკანიძე. თვითეულს ნომრის დაწერაში მგალობლებს დაუნიშნა 5 მ., ხოლო ქორიძეს 6 მ. გაბრიელის სურვილისამებრ ჯერ დაიწერეს მღვდელ-მთავრის წირვის წესი, რომელიც უნდა შეემოწმებიათ მცოდნე პირთ ე. ი. ქართული გალობის ნოტების არ მცოდნეთ და ნოტების მცოდნეთ უნდა ეგალობათ ქორიძის მიერ ჩაწერილი წირვის წესი. მოიწვიეს მღ. ი. წერეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე და არხიდიმიაკონი, ი. შარაშიძე. ამ დროისათვის იყო მოწვეული იმერეთ-გურია-სამეგრელოის და აფხაზეთის წარმომადგენელთა კრებაც, აგრეთვე მოწვეულ იქმნენ ქუთაისის გუბერნიის მონასტერთა არხიმანდრიტები, მცოდნენი ძველი ქართული საეკლესიო გალობისა: არქიმანდრიტი ნიკიფორე, ხონის დეკანოზი ვ. ქუთათელაძე, ანტონ დუმბაძე, მეძმარიაშვილი და სხვანი.

კრებაზე 200-მდე სამღვდელო პირი შეიკრიბა ზარქიელის სასახლეში. ყველა სმენად გადაიქცა.

პირველად ამ დღეს ითქვა საქართველოში ნოტებზე დაწერილი „ისპოლა“, მღვდელ მთავრის „ღირს არსი“ და სხვანი. გალობა ყველას დიდად მოეწონა. მეორე დღეს მღვდელთავრის წირვა დაინიშნა საკრებულო ტაძარში, სადაც წინ და წინ მოწვეულნი იყვნენ სოფლებიდან სხვა და სხვა პირნი, მცოდნენი ქართული გალობისა. მწირველი ბრძანდება გაბრიელი. ერთ მხარეზე გალობენ გამოჩენილნი მგალობელნი ზეპირად (რომელთაც ნოტები არ იცოდენ, ხოლო მეორე მხარეს—ნოტების მცოდნე პირნი, (რომელნიც ქართული ზეპირი გალობა არ იცოდენ. ტაძრის გალავანი ხალხით იყო გაჭედილი. ყველა სმენათ გადაქცეულიყო. ნაწირვებს გამობრძანდა მღვდელ მთავარი ამბიონზე და შესაფერის სიტყვით მიმართა იქ დამსწრეთ. აი რა სთქვა, სხვათა შორის: ეკლესია არ თხოულობს მაინც და მაინც დიდ განწირვას თავისი წევრისაგან; შეიძლება კაცმა მცირე რამე გააკეთოს, რომ დიდ საშვილიშვილოთ გადაიქცეს. დღეის დღე და ჩვენ წინაშე მდგომარე პირის (იგულისხმეთ ქორიძე) ღვაწლი შეიძლება ზოგიერთთა თვალში მცირე იყოს, მაგრამ ამას დიდი და საშვილიშვილო საქმე მოჰყვებაო.“

წირვის შემდეგ საზოგადოებამ ქორიძეს დეპუტაციის პირით მადლობა შესწირა.

ერთმა ღრმად მოხუცებულმა ქალმა სთქვა: დღეს, როდესაც ეკლესიაში გალობდენ, ვიფიქრე მკვდრეთით აღმდგარან გამოჩენილნი მგალობელნი. ექვთიმე ეპისკოპოსი, ნიკოლოზ არქიმანდრიტი და სინო კანდელაკიო.

ქორიძემ დასწერა 400 ნომერი, რომელიც დაუჯდა სამღვდელოებას 4400 მ. მასვე აქვს დაწერილი სხვა და სხვა დროს მრავალი სხვა და სხვა საეკლესიო და საერო საგალობლები, მაგრამ დღეს ყველა ეს უძრავათ სძევს.

1890 წ. სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ მიანდო მღვდელს რაჟდენ ხუნდაძეს სადა, უბრალო კილოზე დაეწერა სამი წირვის წესისა და სხვა საგალობელი, მაგრამ ესეც დღეს გამოუცემელია. ვინ უნდა მიიყვანოს ბოლომდის ეს საშვილიშვილო საქმე?

— ქართველ მწყემსთ-მთავართა ინიციატორობით ისევ სამღვდელოებამ. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კიდევ მოიპოვებიან ეროვნული საეკლესიო და საერო გალობა სიმღერათა მცოდნე პირნი: ხუნდაძე, ნაკაშიძე, კარბელაშვილი, დუმბაძე და სხვა.

საშუალება?

აი საშუალებაც:

საეგზარხოსოში 1500 შტატის ეკლესიაა. თვითოეულს ეკლესიიდან ერთი მეორეზე თითო თუმანი რომ მოიკრიფოს, შესდგება 1500 თუმანი, რაც სრულიად საკმაოა ამ დიდი საქმის გამოკეთებისათვის. არც ერთი ეკლესია არ არი საქართველოში ისეთი ღარიბი, რომ ერთ დროულად 5, 10, 15 მანეთის გადახდა არ შეეძლოს. ეკლესიას ხომ ხალხისაგან შემოდის ფული სანთლის გაყიდვით და წვრილ წვრილად შემოწირვით და რა ცოდვა იქნება, რომ ეკლესიამ თავისივე ხარჯით აღადგინოს ეს დიდებული საქმე!

დავუბრუნდეთ ახლა ბ-ნ ფოცხვერაშვილის კონცერტს. სხვისი რა მოგახსენოთ და მე კი შემდეგი აზრი გამოვიტანე: კონცერტი სასიამოვნო მოსასმენი იყო, მაგრამ ფრანგული ელფერი დაჰკრავდა. ძველი მგალობლები: ს. კანდელაკი, ხონელი კუტი ფირცხალავა, ანტონ დუმბაძე, გოგინა შითაძე, მეძმარიაშვილი და სხვა, რაიმე სასწაულით რომ გამოცხადებულიყვნენ კონცერტზე და მოესმინათ იგი, იმასვე იტყოდენ, რასაც მე ვამბობ: ხუნდაძისა და მის ამხანაგთა მიერ შესრულებული საგალობლებში ეროვნული კილო იყო დაცული. განსაკუთრებით მშვენიერად შეასრულეს ღვთის მშობლის საგალობელი „ყოვლად პატიოსანი გუნდი“ მაგრამ ცოტათი დამწყები მოიკოჭლებდა. გუნდის მიერ შესრულებულ საგალობლებში იმერული კილო დაცული იყო „ღმერთი უფალში“ და მეორე ხმის „ტროპარში“, ხოლო კახური კილო წმიდა ნინოს ტროპარში. დანარჩენ საგალობლებში არც ერთში არ იყო დაცული ეროვნული კილო. ეს კილოები შემთხვზელთა ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

ვაი თუ გაგვიწყრეს ბ. კოტე, ზოგიერთ ნაკლზე მითითებით, მაგრამ სჯობს პირდაპირ ვსთქვათ, რომ შემდეგში ეს ნაკლი აღარ განმეორდეს. გუნდი სიტყვებს მკაფიოთ არ ამბობდა; სიტყვებს შუაზე სწყვეტდა, დიდები ხმას ეძალებოდენ, რაც არ შვენის ქართულ სიმღერა-გალობის ხასიათს. ქართული გალობა-სიმღერის თვისება სხვაა და ევროპიულისა კიდევ სხვა. ქართულ გალობა-სიმღერას რამდენათ უფრო ლმობიერათ, მკვეთრისა და ჯავარიანის ხმით გალობთ, იმდენად სასიამოვნო მოსასმენია.

საზოგადოდ კი სიმართლე უნდა სთქვას კაცმა,—ბ. ფოცხვერიშვილი კარგად მომზადებული მუსიკოსი და დიდად ენერგიული პირი უნდა იყოს, ვინაიდან ასე მოკლე დროში 200 ქალ-ვაჟისაგან შემდგარ გუნდის მომზადება მართლაც რომ დიდ დახელოვნებას მოითხოვს!...

დეკანოზი ი. წერეთელი.

ქ. ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშათა მდგომარეობა.

ამ რამოდენიმე თვის წინეთ დიდი განხეთქილება და ინციდენტი მოხდა ქუთაისის ბეჭდვითი საქმის მუშებს შორის და ამ ინციდენტმა ეს მუშები ერთი-მეორეს მოსწყვიტა და ორ ჯგუფათ, ორ ბანაკათ გაჰყო.

რასაკვირველია, ასეთი მოვლენა სამწუხარო და სავალალოა ყოველივე მუშისათვის, თუ კი ის ოდნავ ჩაუკვირდება თავის მოქმედებასა და თავის თავს. მაგრამ არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ მივმართო და არ ვუსაყვედურო იმ მუშებს, რომელთაც ცოტათ თუ ბევრათ შეგნება შესწევთ და შეგნებულებათაც მოაქვთ თავი (ვგულისხმობ ჩვენი პროფესიის ზოგიერთ ამხანაგს).

ვსთქვათ, რომელიმე ჩვენს ოჯახის წევრს ცეცხლი წაეკიდა, მას წყალს მიაშველებენ და უაქიმებენ, რომ ცეცხლისგან დამწვარი სხეული ხელმეორეთ გაამთელონ, გამთელების შემდეგ ისევ ის ფაქიზი ადამიანი დარჩეს, როგორიც იყო ამ უბედურების შეხვედრამდის და თუ ჩვენ მას დამწვარზე მდუღარეს დავუმატებთ, მაშინ მის სიცოცხლესა და მის სხეულს ერთი ათათ გაუორკეცებთ ტანჯვასა და მწუხარებას...

პირიქით, ყოველი შეგნებული მუშის მოვალეობაა მისპოს ასეთი უთანხმოება ერთმანეთ შორის, მტრობა და ჯიბრი, რომ ამით არ ისარგებლონ ისეთმა პირებმა, რომელნიც მუშის მჩაგვრელებათ გაჩენილან. ჩვენ კი ამის მაგივრათ ერთმანეთს ახლოსაც არ ვეკარებით და იმის ცდაში ვართ, თუ როგორ დაიჩაგროს ერთი მხარე მეორისაგან. ეს მიუტევებელი შეცდომაა ისეთი მუშებისათვის, როგორიც არიან ბეჭდვითი საქმის მუშები. ამისათვის მეტი შეკავშირება და ენერგია გვჭირია, რომ მერმისთვის მაინც არ იქნეს ასეთი უკმაყოფილება და გაუგებრობა ერთმანეთ შორის, თორემ ერთმანეთთან შურითა და მტრობით თვით ჩვენს საქმეს ვაფუჭებთ და მეტი არაფერი...

საჭიროა ამ გარემოებას, როგორც ბეჭდვითი საქმის, ისე დანარჩენი ადგილობრივი შეგნებული ამხანაგები მიაქცევდენ ყურადღებას და ერთხელ და უკანასკნელათ ბოლოს მოუღებდენ ასეთ არასასიამოვნო გარემოებას.

ას.-ამწ. აბე—ლი.

P. S. ვაცხადებ ჩვენი პროფესიის ამხანაგების საყურადღებოთ, რომ იმ ბრალდებას, რომელიც მომახვიეს თავზე უკანონოთ და უსამართლოთ ვცნობ და ამისათვის მოვითხოვ დაინტერესებული პირთაგან, რომელნიც ამ საქმესთან გაცნობილი და დაახლოებული არიან, მიიღონ თავიანთ თავზე მცირე შრომა და ამიხსნან თუ რაში ვიქნები მათთან დამნაშავე. სრული კმაყოფილებით მივიღებ მათ მიერ მოსჯილ სასჯელს. მე ყოველთვის მზათა ვარ და შემდეგშიაც მზათ ვიქნები რაშიაც დამნაშავეთ მიცნობენ, რა საშუალებითაც მოისურვებენ ბოდიში მოვიხადო. ხოლო თუ უსამართლოთ შეურაცხყოფა მომაყენეს, დარწმუნებული ვარ, იმ წერილის ავტორები, რომელნიც სტამბავდენ ამ „ინციდენტის“ შესახებ სხვა და სხვა მუშათა ორგანოებში შეასწორებენ ისევ იმავე გაზეთების საშუალებით.

ას.-ამ. აბე—ლი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— [illegible]
„	— ღამის	— 11 ს. 30 წ.
ბათომიდან	— დილის	— 10 ს. 5 წ.
„	— ღამის	— 2 ს. 23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს. 38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს. 39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს. 55 წ.
„	— ღამის	— 1 ს. 7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს. —
„	— დილის	— 4 ს. 27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს. 14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს. 20 წ.

ქუთაისის განყოფილება
ამხ.-ბა „პროვოდნიკი“.
გვაქვს საწყობში გასასყიდათ დამზადებული დიდძალი
კალოშები.
საერთაშორისო მარკები „სლონ“ და „სვერხ-სლონ“ და აგრეთვე სხვადასხვა საქონელი საკუთარი ნაწარმოებისა.
საეტლო შინები
საზაფხულო და საზამთრო ყველა არტიკულისა სრულის ამარჩევით.

„სორაპანის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქართული
კედლის კალენდარი 1916 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ვისაც სურს „პარტიით“ იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
ტფილისი, სტამბა „სორაპანი“, მ. გაჩეჩილაძეს
და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—6

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
დიდი იაფი ვაჭრობა
ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.
რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.
თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უფაქროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა“
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან